

ვახტანგ ვარაზის კოლაჟი, საქართველო



გენდერი და დანაშაული

ნინო სუხიაშვილი
საქართველო

დამნაშავე თუ მსხვერპლი?

ბოროტმოქმედი

მან მოკლა თავის დაცვისას, მაგრამ ეს არც სასამართლომ, არც ოჯახმა, არც გარემოცვამ არ გაითვალისწინეს

ქალაქში მას ბევრი იცნობს. სიმპატიური, კარგად ჩაცმული ქალბატონია. ის პედაგოგია. თავისი საქმის კარგი პროფესიონალი. იგი უყვართ მოსწავლეებს და პატივს სცემენ კოლეგები. მარტო ცხოვრობს, თუმცა, მისი თანატოლები დიდი ხანია, ბებიები არიან. ბევრმა იცის, რომ ის არ არის გათხოვილი, არ ჰყავს შვილები და წარმოშობით ჩვენი ქალაქიდან არ არის. აქ ნათესავთან ცხოვრობდა, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. ერთი ჩვეულებრივი ქალია. მაგრამ რა იყო წარსულში? ამაზე იგი დუმს.

მის ცხოვრებაში ყველაფერი იყო: სიყვარულიც, ოჯახიც, ქმარ-შვილიც, მაგრამ ერთ დღეს, უფრო ზუსტად ერთ წუთში ყველაფერი დასრულდა. შემდეგ იყო ათწლიანი პატიმრობა და დედობის უფლების ჩამორთმევა... უცნაურია, მაგრამ ყველაფერი სიყვარულიდან დაიწყო. ისინი ერთ ინსტიტუტში სწავლობდნენ. ბედნიერები იყვნენ, თუმცა ყმაწვილი ხშირად უძიზეზოდ ეჭვიანობდა. გოგონა ფიქრობდა, რომ ეს ძლიერი სიყვარულის ბრალი იყო. ამასვე ამტკიცებდნენ დედა, ბებია, მეგობრები. ვაჟს შეძლებული ოჯახი ჰქონდა და ჩანდა, რომ გოგონას გაუმართლა. – მაშინ მე ის მართლა მიყვარდა, – ამბობს

ქალბატონი, - მაგრამ ხომ იცით, ეს ჩვენთან როგორ ხდება. ვაჟი და გოგონა ერთმანეთს ხვდებიან, კაფესა და კინოში შეივლიან და მორჩა. იმისი თქმა მინდა, რომ ჩვენ პრაქტიკულად ერთმანეთს არ ვიცნობდით. ჩვენი ტრადიციები ხშირად გვეხმარება, მაგრამ ხშირად ხელსაც გვიშლის ცხოვრებაში. მე და ჩემს ქმარს ერთმანეთი უკეთ რომ გვეცნობოდა, შესაძლოა, ჩვენი ქორწინება საერთოდ არ შემდგარიყო. მე მაშინ, ალბათ, ჩემი საკუთარი წარმოდგენა მიყვარდა მომავალ ბედნიერ ცხოვრებაზე მდიდარ ოჯახში. უმაჟოდ გავიზარდე, იგი ადრე გარდაიცვალა და ღელისგან ყოველთვის მესმოდა: „მამა რომ ცოცხალი ყოფილიყო.“ რატომღაც მეგონა, რომ მამაკაცებს ყველაფერი შეუძლიათ, მათ ხელშია ძალა და სამართალი.

ჩემი ქორწინება კონფლიქტით დაიწყო. ქმარმა სამსახურის მიტოვება მოითხოვა. მე ახალი დაწყებული მქონდა სკოლაში მასწავლებლობა და ამ საქმის მიტოვება არ მინდოდა. სკოლაში, რაღა თქმა უნდა, ძირითადად ქალები ვმუშაობდით და ჩემი გავიტანე, მაგრამ მან ავადმყოფური ეჭვიანობა დაიწყო დირექტორზე. ჩვენი ჩხუბი ხშირად ცემა-ტყეპამდე აღწევდა. არ მინდოდა, ამის თაობაზე ღელას რამე გაეგო. ხშირად ვიგონებდი სხვადასხვა ისტორიას - როგორ დავეცი, დაეშავდი, რომ კოლეგების თვალშიც ბედნიერი გამოვჩენილიყავი, მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რას განვიცდიდი. ეს იყო სამინელი გრძნობა - დამცირების, სირცხვილის, დაუცველობის, განრისხების ნარევი. მსურდა, სამაგიერო გადამეხადა, საკუთარი უფლება დამეცვა, მაგრამ არ ვიცოდი, ვისთვის მიმემართა, რა გამეკეთებინა. ამ დროს რაღაც ჩაკეტილ წრეში ექცევი და არანაირი გამოსავალი არ ჩანს. შვილებიც გაგვიჩნდა, მაგრამ ძალადობა მეორდებოდა და შერიგების პერიოდების ხანგრძლივობა თანდათან მცირდებოდა.

მოსაზრება ყირგიზეთიდან

ისინი ამას გამოუვალ მდგომარეობის გამო სჩადიან

ერთმა ბიშეკეკელმა ქალმა ასეთი ეპიზოდი მიაბაზო თავისი ცხოვრებიდან:

– ახლა განსვენებაც კი მზარავს იმისა, რომ იგი ერთხელ კინალამ მოვკალი. მასთან 13 წელი ვიცხოვრე და თავიდან ცულად არ ვცხოვრობდით. მაგრამ ბოლო წლებში, როცა ეკონომიურად გავევიჭირდა, დაიწყო კომშარი. იგი მაწამებდა. ადრე ხელი არასოდეს დაუკარებია, ახლა კი გამეტებით მცემდა, სულ თავში მირტყამდა, თან მთელი ძალით. მეგონა, ძვლები ვერ გაუძლებდა, რაღაც გამიტყდებოდა. მინდოდა, როგორმე მაინც შემეწყვიტა ეს. მეგონა, თუ არ შევაჩერებდი, აუცილებლად მომკლავდა, ორგანიზმი მეტს ვეღარ გაუძლებდა.

ერთხელაც მოთმინება გამიწყდა. როცა ყოველდღე გამუდმებით გცემენ, ბოლოს და ბოლოს, მოთმინებაც ილევა. განსაკუთრებით, როცა ეს შენს შვილებს ეხება, იგი ხომ ბავშვებზე გადავიდა. მათაც დაუწყო ცემა.. ვინ დაიცავს ჩემს შვილებს? მაშინ ყველაზე საშინელ რამეზე იწყებ ფიქრს. დანა ავიღე. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. ავიღე და მუცელში ჩავარტყი... არ ვიცი, როგორ შევძელი. დარტყმას ზიანი არ მიუყენებია. ჭრილობა უმნიშვნელო აღმოჩნდა. იგი გადარჩა. არც კი მიჩვილა. მაგრამ ახლა კარვად მესმის იმ ქალების, რომლებიც ქმრებს კლავენ. ამას გამოუვალ მდგომარეობა აკეთებინებთ.

ჩემი თანამოსაუბრის შემთხვევა არც ისე იშვიათია ჩვენთან. ხშირად ოჯახური დრამები ტრაგიკულად სრულდება როგორც მოძალადის, ისე მისი მსხვერპლისთვისაც. მაგრამ ასეთი დანაშაულობების მოტივები ჯერ ვერ გახდა სპეციალური ანალიზის საგანი, ასეთი საქმეების მასალებს არ სწავლობენ და აანალიზებენ, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ მიზეზი გაიგო. ყველაფერი მექანიკურ სქემამდე დადის: მოკლა - დააპატიმრეს. ის-ისაა ვიწყებთ ოჯახური ძალადობის, მისი მსხვერპლების შესახებ საუბარს, საამქარაოზე გამოგვაქვს ამ პრობლემის მთელი სამინელება და წყვილი - მაგრამ სასამართლო პრაქტიკაზე ეს ნაკლებად აისახება.

ნურჟან ტულეგაბილოვა,
ბიშეკეი



„იურტიდან ნავის გამოტანას“ ჩვენში ყველა ქალი როდი გადაწყვეტს – და არც უცებ. მაგრამ ოდესმე მოთმინება მაინც ილევა

ფოტო
ნურჟან ტულეგაბილოვასი

მოსაზრება აზერბაიჯანიდან

აქაც - ორმაგი სტანდარტები

ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს საზოგადოება არაადეკვატურად აღიქვამს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ნებისმიერი დანაშაული ნორმალურ ადამიანში პროტესტისა და განკიცხვის გრძნობას იწვევს. მაგრამ ჩვენი საზოგადოება ქალების მიმართ უფრო მკაცრია, ვიდრე მამაკაცების ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ორიოდ წლის წინ ჩვენთან განხორციელებული დანაშაული მოხდა, ისიც ოჯახური ძალადობის სფეროში. ერთი ქალი დაიღალა თავისი ლოთი ქმრის უღირსი საქცილით. საკუთარი თავისა და 16 წლის ქალიშვილის გადასარჩენად მოკლა და დაწვა მოძალადე. საზოგადოებაში ცოტამ თუ მოინდომა გაეგო ამ დანაშაულის სერიოზული (არა გამამართლებელი) ამხსნელი მოტივი. ყველა იმით იყო აღშფოთებული, რომ დანაშაული ქალმა ჩაიდინა. და არავის მოუხდა ჩაწვდომოდა ამ შემთხვევის არსსა და მიზეზს.

რამდენიმე წლის წინ ჩვენ ვატარებდით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონიტორინგს ძალადობის თემაზე – ვაკვირდებოდით, რას და როგორ წერდნენ გაზეთები. კარგად ჩანდა, რომ ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულებებს ჟურნალისტები კვალდაკვალ მისდევდნენ (ხშირად სიამოვნებითაც), მაგრამ მცდელობა, გარკვეულიყვნენ მომხდარში, თანაც არა ბრალდების, არამედ გაგების პოზიციიდან – პრაქტიკულად არ იყო.

აი, სტატია გაზეთში და სათაური დიდი ასოებით: „ქალი, რომელმაც ქმარი მოკლა“. და ეს ხუთი შვილის დედაა, რომელიც მთელი ცხოვრება კეთილსინდისიერად ემსახურა ალკოჰოლიკ ქმარს, მთელი ცხოვრება მუშაობდა, რომ ოჯახი ერჩინა. მოკლული საერთოდ არ მუშაობდა, ცოლს ექსპლოატაციას უწევდა, ყოველდღე ძალადობას ავლენდა მისი და შვილების მიმართ. ჟურნალისტმა ეს ყველაფერი უამბო მკითხველს.

მაგრამ საზოგადოებაში ერთი შესხედულება ბატონობდა – როგორი შეუბრალებელია ქალი, რომელმაც საკუთარი ქმრის მოკლა შეძლო? არავის აინტერესებდა მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. და სამწუხაროდ, არც ერთ ქალთა ორგანიზაციას არ დაუწვია მისი უფლებების დაცვა.


ჩვენში მიღებულია ჩაითვალოს, რომ, თუ მსგავსი რამ ქალს შეემთხვევა, იგი დამნაშავეა, ხოლო თუ მამაკაცს – იგი, უბრალოდ, გარემოებათა მსხვერპლია.

ვაფა სალუხი,
ბაქო

ჩემი დაბადების დღე იყო. ღვებელი გამოვაცხვე, რომ კოლეგებს გავმასპინძლებოდი. მასსოვს, სამზარეულოში ვიყავი, როცა ქმარი შემოვიდა და ყვირილი დაიწყო, რომ მე ჩემი საყვარლის - დირექტორის გამასპინძლება მინდოდა. მე ჩუმად ვუსმენდი, მერე ლანძღვა და ცემა დამიწყო, მერე კი არაფერი მასსოვს... ალბათ, სადღაც ახლოს დანა იღო.

ჩვენ ქმრის მშობლებისგან განცალკევებით ვცხოვრობდით. მათ იცოდნენ ჩვენი ურთიერთობის შესახებ, მაგრამ არ მასსოვს, ერთხელ მაინც დაეჭვიროთ ჩემთვის მხარი. თუმცა, მათ სიმტკიცე გამოიჩინეს, როცა საქმე ჩემი, როგორც მშობლის უფლებებს ეხებოდა. შეიღებს არ სჭირდებათ მკვლელი დედა, - ამბობდა ყველა, - მაგრამ არავინ საუბრობდა ჩემზე, როგორც გარემოებათა მსხვერპლზე. მათ ჩემი შეიღები ისე აღზარდეს, რომ მათ დღესაც არ სურთ ჩემთან ურთიერთობა.

თურმე, ასე ცხოვრებაც შესაძლებელი ყოფილა - ყველას და ყველაფრის გარეშე, ოცნებებისა და კი. მე ხომ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ასეთი რამ შემემთხვეოდა. კოლონიაში რამდენიმე წელი გავატარე. იქ მკვლელობისათვის გასამართლებული სსგა ქალებიც იყვნენ, მათ უმრავლესობას მოძალადე ქმარი ან საყვარელი ჰყავდა მოკლული. ის, ვინც დიდ ხანს აწამებდა. ძალადობა ძალადობას შობს. ეს ცხოვრების ტრაგიკული სიმართლეა.



თურმე, ასე ცხოვრებაც შეიძლება – ჯერ მუდმივი შიშისა და დამცირების, მერე – მუდმივი დანაშაულის გრძნობით

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა

თვის სიახლე

უკრაინის პარლამენტი: კვლავ გენდერულად კოჭლია



...თამაში დამწყები პოლიტიკოსებისათვის - „გამწყრივე შენი კოალიცია“ ავტორის ფოტო

ცნობილი გახდა უკრაინის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების შედეგები. ახლადარჩეული უმაღლესი რადა ბალანსის დარღვევისთვისაა განწირული – უეჭველია, რომ გენდერული დისბალანსი მის მუშაობაზე აისახება. წინასწარი გათვლები მოწმობს, რომ ქალების ისედაც მცირე შემადგენლობა კიდევ უფრო შემცირდა. აი, ასეთია ევროპულ ტენდენციებზე ორიენტაცია! 450 ადგილიდან მხოლოდ 34 ერგო ქალებს (წინა მოწვევაში მათ 38 მანდატი მიანიჭებდათ).

საინტერესოა, რომ იულია ტიმოშენკოს ბლოკმა თავისი 156 კაციანი საარჩევნო სიიდან მხოლოდ 12 დაუთმო ქალებს. ყურადსაღებია, რომ თავად იულია ვლადიმირის ასულის შემდეგ ქალი სიაში მხოლოდ 30-ე ნომრად იყო წარმოდგენილი. მე წინასაარჩევნო რეკლამის ერთი საინტერესო ეპიზოდი გადავიღე. პატარა ქალაქების მცხოვრებლებს შანსი ეძლეოდათ სურათები გადაეღოთ ბლოკ „ნაშა უკრაინა - ნაროდნაია სამოლობრონას“ ვირტუალურ ლიდერებთან. მაგრამ ასეთი უფლება მხოლოდ შარვლოსნებს ერგოთ...

ვლადიმერ ხანასი,
ტერნოპოლი, უკრაინა

და კიდეც: თვის სიახლე


ნობელის პრემიის კომიტეტმა გამოარჩია ქალური გამოცდილების სკეპტიციზმი, ძლევამოსილება და მგზნებარება

ლაურეატი გახდა დორის ლესინგი

შვედეთის მეცნიერებათა აკადემიამ დაასახელა ნობელის პრემიის 2007 წლის ლაურეატი ნომინაციაში „ლიტერატურა“. პრესტიჟული ჯილდო ერგო ინგლისელ მწერალ ქალს დორის ლესინგს, რომელიც 22 ოქტომბერს თავის 88 წლისთავს აღნიშნავს.

ფემინისტისათვის პრემიის მინიჭებისას ნობელის კომიტეტმა აღნიშნა, რომ ეს არის პატივისცემის ხარკი „ქალური გამოცდილების იმ გრანდიოზული პოეტისადმი, რომელმაც სკეპტიციზმით, მგზნებარებითა და ფანტასტიკური ძლევამოსილებით დაწვრილებითი კვლევის საგნად აქცია გაყოფილი მსოფლიო“. უკანასკნელი 15 წლის მანძილზე ამ პრემიით სულ 3 ქალი დაჯილდოვდა: 2004 წელს – ავსტრიელი ელფრიდა ელინეკი, 1996-ში – ვისლავა შიმბორსკაია პოლონეთიდან, 1993-ში – ტონი მორისონი აშშ-დან.

დორის ლესინგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თანამედროვე ინგლისურენოვანი მწერალი ქალია. იგი დაიბადა ირანში, გაიზარდა პატარა ფერმაში სამხრეთ როდეზიაში, ახალგაზრდობაში კომუნისტებს შეუერთდა, ოცდაათი წლისა კი 12 წლის ვაჟთან ერთად ინგლისში გადასახლდა. პირველმა წიგნმა „ბალახი მღერის“ მწერალს მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი, მის რომანს „ოქროს დღიურები“ (The Golden Notebook, 1962) ფემინისტური ლიტერატურის კლასიკას უწოდებენ.



„რეიტერსის“ ფოტო

თავად ლესინგმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ფემინიზმი – ეს რომანის ერთი მხარეა, მისი მთავარი თემა – პიროვნების უფლებებია საზოგადოებაში“. „ოქროს დღიურების“ მთავარი გმირი ქალის ცნობილი ფრაზაა: „ქალები იმიტომ არიან ასეთი მშიშრები, რომ ძალიან დიდხანს იყვნენ ნახევრად მონები. ცოტა თუ მოიძებნება ისეთი ქალი, რომელიც მზადაა დაიცვას ის, რასაც სინამდვილეში ფიქრობს, გრძობს, იცის – იმ კაცის წინაშე, რომელიც უყვარს“. მწერალი ინგლისში ცხოვრობს და ძველებურად ბევრს მუშაობს.

მარგარიტა არუტუნიანი,
სომხეთი

ქალების ზონა

სულ უფრო მეტი ქალი ხვდება ციხეში ტრეფიკინგისა და სუტენიორობისათვის

სომხეთში 3462 პატიმარია, მათ შორის 127 – ქალი. უმრავლესობა სასჯელს რესპუბლიკაში ერთადერთ შრომით-გამასწორებელ კოლონია „აბოვიანში“ იხდის.

მამაკაცთა მკაცრი რეჟიმის კოლონიების შემდეგ აბოვიანის ქალთა კოლონია უფრო ნათელ შთაბეჭდილებას ტოვებს – თითქოს მუქ-ნაცრისფერ ტილოს საღებავები დააშხეფეს. არც ნაცრისფერი ტანსაცმელი, არც გადაპარსული თავები. იქვე, კედლის მიღმა – ბავშვთა შრომითი კოლონია და ბევრ ობიექტზე (სალონოში, მეფრინველეობის ფერმაში, დენდრარიუმში) ქალები და მოზარდები ერთად მუშაობენ.

127 საქმე, 127 პრობლემაური ბედი და მწვავე ემოციები. წყენა – თითქოს უსამართლო სასამართლო გადაწყვეტილებების, საკუთარი გაუფრთხილებლობის, ხშირად ზურგმექცეული ქმრების მიმართ. სევდა. ძირითადად – ბავშვებზე.

ქალთა 44% სასჯელს მძიმე დანაშაულისთვის იხდის. დანარჩენები „ეკონომიური“ მუხლებით გადაიან. ვერ გამოკვებეს ოჯახი, დაარღვიეს კანონი და ჩავარდნენ. მათ უფრო უჭირთ. მთელი დღეების განმავლობაში დანაშაულისა და სასჯელის შეუსაბამობაზე მსჯელობენ. 5000 მითვისებული დოლარისათვის – 8 წელი. საკუთარი შვილის ხიდიდან გადაგდებისთვისაც – 8 წელი. გასაფიქრებელია!

ყველაზე იოლად ზონაში ცხოვრებას სუტენიორები და მეძავები ეგუებიან. ჯერ ერთი, სასჯელის ვადაც მცირე აქვთ და პირველივე ამნისტიას ექვემდებარება. მეორეც, მათივე აღიარებით, თავისუფლებაშიც ისეთი სამუშაო აქვთ, რომ ზონა ჯოჯოხეთად სულაც არ ეჩვენებათ.

ბოლო წლებში ადამიანებით ვაჭრობისა და პროსტიტუციის ორგანიზებისათვის გასამართლებულთა რიცხვმა მნიშვნელოვნად მოიმატა. მარტო გასულ წელს აღძრული იყო 40-ზე მეტი „ტრეფიკინგული“ საქმე. ყველა მათგანში ქალები გამოდიან როგორც დამნაშავის, ისე მსხვერპლის როლშიც.

აი პატიმარი ანუში – ერთ-ერთი პირველი გაასამართლეს ტრეფიკინგისათვის. ძმასთან ერთად „მუშაობდა“. უცხოელებზე, ძირითადად უზბეკებზე. მათი გადაბირება აზიაში მისი მოგზაურობის დროს ხდებოდა. მაღალანაზლაურებად სამუშაოს პირდებოდა სომხეთის კაფეებში, რესტორნებში, სტრიპ-ბარებში. მაგრამ ჩამოსვლისთანავე გოგონებს ართმევდა პასპორტებს და აიძულებდა ქუჩაში გასულიყვნენ. უსაბუთოდ, უფულოდ, უცხო ქვეყანაში კავშირების გარეშე დარჩენილები სრულიად უუფლებონი ხდებოდნენ და იძულებულნი იყვნენ ეკეთებინათ ის, რასაც სუტენიორი უბრძანებდა.

აი, არასტანდარტული საქმე. თითქმის ერთ-ერთი ყველაზე არაორდინალური ბოლო ათწლეულის მანძილზე. თავდასხმა სომხეთის პარლამენტის წევრზე მელიქ გასპარიანზე. მთავარი ეჭვმიტანილი – ქალია, სახელად სილვა, ყოფილი პედაგოგი. ოფიციალური ბრალდების თანახმად, მან დეპუტატის მოკვლა თავის ნაცნობს, ეროვნული უსაფრთხოების პოლკოვნიკს შეუკვეთა. ამ უკანასკნელმა თითქოს ასაფეთქებელი მოწყობილობა მიამაგრა დეპუტატის მანქანის ფსკერს. იგი ძრავის ჩართვისთანავე ამუშავდა. საბედნიეროდ, დეპუტატმა საშუალო ხარისხის დაზიანება მიიღო.

სილვა უკვე 5 წელია იზოლატორში იმყოფება, სასამართლო მხოლოდ გასული წლის აპრილში დაიწყო და ჯერ ბოლო არ უჩანს. თვითონ ისევე, როგორც ვითომ მისი თანამზრახველი დანაშაულთან კავშირს კატეგორიულად უარყოფს. აცხადებს, რომ ახლოს არ იცნობდა დეპუტატს და არავითარი მოტივი არ ჰქონდა მისი სიკვდილი ესურვა. ერთადერთი ძაფი, რომელიც დაზარალებულსა და ბრალდებულს აკავშირებს – სამშენებლო ორგანიზაციაა, რომლის თავმჯდომარე სილვას ქმარი იყო, ერთ-ერთი აქციონერი კი – დაზარალებული დეპუტატი. თუმცა, თავდასხმის მომენტისათვის სილვა ქმართან გაყრილი იყო და სავარაუდოდ, არც მისი საქმეები აინტერესებდა. თუმცა, პროკურორი 9 წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვს...

ლიანა სტეპანიანი
სომხეთი

რას ამბობს ფსიქიატრია და სტატისტიკა?

დაპატიმრებულ ქალებს ართმევენ არა მარტო თავისუფლებას, არამედ – ოჯახსაც

ქალის დანაშაული – საზოგადოების ტემპერატურული ფურცელია, თვლიან სოციალური ფსიქოლოგები. იგი ასახავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის დონეს. და შემთხვევითი როდია, რომ განსასჯელთა შორის სულით ავადმყოფ ქალთა პროცენტული რაოდენობა მეტია, ვიდრე მამაკაცთა. თუმცა, თუ დაავადება აშკარად გამოხატული არ არის, გამოძიებელს აზრადაც არ მოსდის ეჭვი შეიტანოს ბრალდებულის ჯანმრთელობაში.

სასამართლო ფსიქიატრთა აზრით, ქალი მკვლელობას იშვიათად სჩადის – მხოლოდ მაშინ, როცა უკიდურეს ზღვრამდეა მისული. იგი იშვიათად კლავს უცხო ადამიანს – როგორც წესი, მხოლოდ ძალზე ახლობლებს. არსებობს ფსიქიური დაავადებები, რომლებიც მარტო ქალებს აღენიშნებათ, მაგალითად, მშობიარობის შემდგომი ფსიქოზი. ქალის ეჭვიანობა თავისი ძალითა და ვნებიანობით ხშირად მამაკაცისას აჭარბებს და უკიდურესად სასტიკ ფორმებში გამოიხატება. მოლაღატიისათვის ან მეტოქისათვის ანგარიშის გასწორების სურვილი ქალს უსაზღვრო სისას-



ხშირად სწორედ მათ გამო მიდიან ქალები დანაშაულზე და ყველაზე მეტად ისინი ენატრებათ თავისუფლებადაკარგულებს

ფოტო უმიდა ახმელოვასი

ტიკისაკენ უბიძგებს. მხოლოდ პირველი შეხედვით გვეჩვენება ქალის დანაშაული არამოტივირებულად. სინამდვილეში აქ ქვეცნობიერისა და იმპულსურის მთელი გორგალია. ქალები წლების მანძილზე ითმენენ აუტანელ დამცირებასა და წყენას, ყველას უმაღლავენ, მერე კი უცებ მოულოდნელ აგრესიულ ქმედებას სჩადიან. კურდღელი ვეფხვად იქცევა.

დაზარალებულ ს-ს ჩვევად ჰქონდა დამთვრალიყო, მერე კი სასტიკად ეცემა ცოლი. ფიზიკურ შეურაცხყოფას ქალი ითმენდა, მაგრამ წინააღმდეგობასაც უწევდა. თუმცა, იმ დღეს, როცა უბედურება დატრიალდა, ს-მ კიდევ ერთხელ სცემა, მერე კი იქვე ჩამოჯდა და ცოლს საშინელი ამბავი ამცნო: „ჩვენი მეზობლის შვილიშვილი, – თქვა მან, – სინამდვილეში ჩემი ვაჟია“. მოთმინების ფიალა აივსო. ქალმა იქვე ხელთ მოხვედრილი მძიმე სათლი აიღო და თავში ჩაარტყა. დარტყმა სასიკვდილო აღმოჩნდა. მას შედარებით რბილი სასჯელი შეუფარდეს – იქნებ იმიტომ, რომ სასამართლოს თავმჯდომარე ქალი იყო.

სხვათა შორის: მსოფლიოში

სტატისტიკური მონაცემები ქალთა დანაშაულობების შესახებ მთელი მსოფლიოს საფიქრალია. არ შეიძლება არ შეგვაშფოთოს მისმა ზრდამ: უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ქალთა ხვედრითი წილი დამნაშავეთა სამყაროში 12-დან 22%-მდე გაიზარდა. იმატა ძალადობასთან დაკავშირებულმა ქალთა დანაშაულობებმაც. გასულ წელს ყოველი მეათე წინასწარგანზრახული მკვლელობა ქალის მიერაა ჩადენილი. იურიდიული წყაროები ადასტურებენ: სულ უფრო მეტია ქალები, რომლებიც კლავენ ხულიგნური შეხედულებების გამო, აქტიურად მონაწილეობენ ბანდიტურ თავდასხმებში, თანაც ზოგი დანაშაული განსაკუთრებული საფრთხით გამოირჩევა, ზოგჯერ სისასტიკითაც. სტატისტიკა აღნიშნავს იმ ქალთა რიცხვის ზრდას, რომლებიც სასჯელს ისეთი „მამაკაცური“ დანაშაულობებისათვის იხდიან, როგორცაა წინასწარგანზრახული მკვლელობა, წინასწარგანზრახვით მიყენებული სხეულის მძიმე დაზიანება და გაუპატიურებაში თანამონაწილეობაც კი. ბრალდებულ ქალთა საშუალო ასაკი მთელ მსოფლიოში 35 წელზე ოდნავ მეტია.

ჩვენს ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიურმა პირობებმა დალი ქალებსაც დაასვა და მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებსაც. უმეტესობა ეკონომიური ხასიათისაა. სასჯელის ვადა საკმაოდ დიდია და ქალებიდან იშვიათად თუ შეინარჩუნებს რომელიმე ოჯახს. ბავშვები - სახლშია, მათი გასამართლებული დედა - კოლონიაში. რა დარჩება მისი ოჯახისაგან, როცა დაბრუნდება? ბევრი პატიმარი ქალის სიტყვით,

ყველაზე საშინელი ისაა, როცა იცი, რომ რაღაც თავისუფლებაზე უფრო ძვირფასი წაგართვეს. წაგართვეს ის, რითაც აქამდე გული ფეთქავდა - ბავშვები. მერედა, რა მოელით მათ, უდელოდ დარჩენილებს? ასე ისჯებიან არა მარტო დამნაშავე ქალები, არამედ მათი უდანაშაულო შვილებიც. „ნუთუ არ შეიძლება ჩვენთვის უფრო ცივილიზებული სასჯელის გამოძებნა, რომელიც ბავშვების ინტერესებსაც გაითვალისწინებს?“ - კითხულობენ პატიმრები.

ბევრ ქვეყანაში ფიქრობენ ამაზე. მაგალითად, ზოგიერთი ინგლისელი კრიმინოლოგი თვლის, რომ ციხეში ჩასმა ვერ ეხამება დედის როლს, რომ ოჯახური კავშირების აღდგენა ციხიდან დაბრუნების შემდეგ - სერიოზული პრობლემაა და აქ დიდია რისკი ქალის მარტოხელობისათვის განწირვისა. იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, თუ რა აუნაზღაურებელი ზიანი ადგებათ ასეთი დედების შვილებს. როგორც ჩანს, სასჯელის სხვა ფორმებია საჭირო.

მოსაზრება ყაზახეთიდან მკვლელობა, როგორც თავის დაცვა

რთულ 90-იან წლებში პროექტები ერთმანეთის მიყოლებით ჩნდებოდა. ერთხელ სამუშაოდ მიმიწვიეს გაზეთში, რომელიც დანაშაულის პრობლემებს ამუშავდა. მაშინ „სუფთა“ ჟურნალისტი ვიყავი, ანუ სიტყვა „გენდერი“ გააონილიც არ მქონდა. მაგრამ პირველი, რაც მე გავაკეთე, მაინც იყო ის, რომ სასამართლოში წავედი ქალთა დანაშაულობების შესასწავლად. თანაც მხოლოდ მკვლელობის საქმეებს ვირჩევდი. წაკითხულმა გამაოგნა. დაწვერე სტატია „კლავენ... ქალები“, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

სტატიაში მოვიყვანე სტატისტიკა, რომ ქალები, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების უფრო მრავალრიცხოვან ნაწილს წარმოადგენენ, დანაშაულს 5-6-ჯერ უფრო იშვიათად სჩადიან, ვიდრე მამაკაცები. ამ მონაცემებს, რა თქმა უნდა, არავინ გაუკვირვებია. გაცემა სულ სხვა რამემ გამოიწვია - ყველა საქმეს ქალი-მკვლელების შესახებ საყოფაცხოვრებო კვალიფიკაცია ჰქონდა მინიჭებული. ანუ - დაუგეგმავი, შემთხვევითი. არც ერთი საქმე არ იყო, სადაც ქალი წინასწარ გეგმავდა მკვლელობას. ისინი, როგორც ჩანს, შემთხვევით კლავდნენ. მაგრამ საკმაოდ მოტივირებულად. ისინი კლავდნენ საკუთარი თავის ან ბავშვების დასაცავად - მთვრალი ქმრისაგან, მოძალადისაგან, ბანდიტისაგან. და საშინლად ეშინოდათ ჩადენილის, მსხვერპლის გადარჩენას ცდილობდნენ და უმეტესწილად თავად იძახებდნენ მილიციას.


ჩემი მკითხველები ხუმრობდნენ: გაუფრთხილდით ქალს, მოეფერეთ და ცოცხლები დარჩებით. იმ გაზეთს დიდხანს არ უარსებია. პროექტი გასკდა, რედაქტორმა და პასუხისმგებელმა მდივანმა (მამაკაცებმა) რაღაც მოგება ერთმანეთში გაინაწილეს, არც მე და არც მეორე კორესპონდენტს (ისიც ქალია) კაპიციც არ გადაგვიხადეს... თუმცა, ვფიქრობ, იმის დაზუსტება არ ღირს, რომ მასალათა უმეტესობა ჩვენი დაწერილი იყო.

ალმა ბექტურგანოვა-ანდერსენი, ქ. ტარაზი

ანა იუდკოვსკაია

უკრაინა

ძიებას პროფესიონალები აწარმოებენ?



განვითარებული დემოკრატიის ქვეყანაში

სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ერთ-ერთ ძირითად მეთოდად რჩება, **მაგრამ პროკურატურა და სასამართლოები ამას თითქოს „არც ამჩნევენ“**

ამასთან უკრაინაში რატიფიცირებულ იქნა არა მარტო ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, რომლის მე-3 მუხლი ითვალისწინებს წამების ან არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას, არამედ გავრცობს კონვენციაც წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის სახეებისა და სასჯელის წინააღმდეგ. ძიებაში მყოფთა მიმართ გამოყენებული ფიზიკური ძალადობის შესახებ ათასობით გამოკვლევა დაწერილი, ეს თემა ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემებისადმი მიძღვნილ ყოველ მოხსენებაში დეტალურადაა შესწავლილი. ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა მორალურ განცდებს კი, რომელიც იმავე მიზანს ისახავს - მიიღოს დანაშაულის ჩადენის აღიარება - ნაკლები ყურადღება ეთმობა.

ქალები უფრო ადვილად ხდებიან ფსიქიური ძალადობის მსხვერპლნი, კონკრეტული მიზნების მიღწევისათვის მათთან დაუშვებელი მოპყრობის ნაკლებად მკაცრი ზომების გამოყენება შეიძლება, უფრო ჯიუტებს, როგორც წესი, ჯგუფური გაუპატიურებით ემუქრებიან, იშვიათად - ცემით ან წამების სხვა ფორმით. მაგრამ თუ ძლიერი ქალი უშუალოდ მისკენ მიმართულ საფრთხეს თავს არ უხრის, ახლობელი ადამიანების საფრთხეში ჩაგდება, როგორც წესი, უფრო სწრაფად აღწევს მიზანს.

ერთი ჩემი ნაცნობის და იმ კართან მიჰყავდათ, სადაც მის ძმას აწამებდნენ, ასმენებდნენ მის ყვირილს. წამების გახანგრძლივების შიშით მან ძიებას მათთვის საჭირო ჩვენება მისცა. მეორის ცოლს დაემუქრნენ, რომ მის ქმარს ისეთ საკანში გადაიყვანდნენ, სადაც მას ტყავას გააძრობდნენ, თუ იგი (ქალი) საჭირო ჩვენებას არ მისცემდა. მაგრამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში დედები არიან. წმინდა დედობრივ სიყვარულს ეჭვმიტანილის ნების ჩაზმობის საუკეთესო საშუალებად იყენებენ.

და თუ ახლობლების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ მუქარას შეიძლება დაშინების კვალიფიკაცია მიეცეს, მაშინ იმ დედის სტრესი და განცდები, რომლის შვილსაც საფრთხე ემუქრება, სხვა არაფერია, თუ არა წამება. ჩემი კლიენტი ტ. მილიციამში მოხვდა, როგორც მოწმე, მაგრამ შემდეგ, როგორც ეს ხშირად ხდება, ეჭვმიტანილად გადაიქცა. პირველი დაკითხვის დროს (მოწმის სტატუსით) მილიციის თანამშრომელმა მას ბინის გასაღები ჩამოართვა და გაარკვია, რომ სახლში მარტო ცხრა წლის გოგონა იმყოფებოდა. გადასცა რა გასაღები მილიციის ორ მამაკაც თანამშრომელს, რომლებიც თითქოს მის ბინაში გააგზავნა (ცხადია, სინამდვილეში ისინი არსად არ წასულან), იგი დიდხანს და გატაცებით უხსნიდა გულგახეტილ დედას, თუ როგორ გააუპატიურებდნენ ისინი მის ქალიშვილს. არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ

გაჭრა და სანამ ქალმა ხელი არ მოაწერა დანაშაულის აღიარებას (ბანალური ქურდობა), არც ბინის გასაღები დაუბრუნეს და არც ბავშვთან დარეკვის საშუალება მისცეს. მეორე ქალმა მიაბზო, რომ წაუკითხავად მოაწერა ხელი ოქმს მარტო იმ „ინფორმაციის“ შემდეგ, რომ მილიციის თანამშრომლისათვის ცნობილია სკოლა, სადაც მისი 8 წლის ვაჟი სწავლობს და რომ მისი იქიდან გამოყვანა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ბევრი იმასაც იხსენებს, რომ „გულწრფელ აღიარებაზე“ უარის თქმის შემთხვევაში ხანგრძლივი პატიმრობის მუქარით გამოძიებლები კმაყოფილებით აღწერდნენ იმ ბავშვის მომავალ განცდებს, რომელსაც ბავშვთა სახლში გაამწყვდენენ.

ასეთი მაგალითი უამრავია. ფსიქიური ზეწოლის მრავალფეროვნება და დახვეწილობა, რომელსაც ქალების მიმართ იყენებენ (თანმხლები ფიზიკური ძალადობა და პატიმრობის პირობები - ცალკე თემა), იმ ადამიანთა ზნეობაზე დაფიქრებას გვაიძულებს, ვისაც ჩვენი დაცვა ევალება. იმასთან ერთად, რომ ძალადობის ნებისმიერი სახის გამოყენება ძიებაში მყოფთა მიმართ გენდერული კუთვნილების მიუხედავად მიუღებელია, დედის, ცოლის, ქალიშვილის, დის გრძობებით მანიპულირება - სულ ცოტა, წარმოუდგენელი სიმკაცრეა. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ მსგავსი რამ უკვე კარგა ხანია განიხილება, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა, იგი ეჭვმიტანილთა მიმართ მილიციის თანამშრომლების დამოკიდებულებას კი არ ასახავს, არამედ უბრალოდ, მათი ყოველდღიური საქმიანობისა და დაკანონებული პრაქტიკის ნაწილია. აზრი მისი უზნეობის შესახებ „ორგანოების“ თანამშრომლებს, რატომღაც, თავში არ მოსდით.



დანები და კასტეტები აუცილებელი არაა, თუ თქვენ საქმე ქალთან გაქვთ, - საკმარისია, ბავშვზე ანგარიშსწორებით დაემუქროთ

ფოტო პოლინა მილორადოვიჩისა

ყურადღება: ვაგრძელებთ კამპანიას

საზოგადოება და ჟურნალისტები – გენდერულად დაბალანსებული ევროსასამართლო სათვის

კ@კკაზია თავისი ავტორის კანდიდატურას უწევს ლობირებას

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ღრმად პატივცემული ბატონო პრეზიდენტო!

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პატივცემული დეპუტატებო!

უკრაინის საზოგადოებრიობა ფრიად შემოთხუთებულია საზოგადოების ცხოვრების გადატეხილი პოლიტიზირებით. ჩვენ განსაკუთრებით გვაღელვებს ხელისუფლების სასამართლო შტოს პოლიტიზირება. ეს ტენდენცია ძირს უთხრის სასამართლო გადაწყვეტილებებისადმი ნდობას, რწმენას სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართლიანობის შესახებ. როგორც ვხედავთ, ამ შემოთხუთებას საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატებიც იზიარებენ.

ამასთან, გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ მეორე მნიშვნელოვან ასპექტს – ვაკანტური თანამდებობების დაკავებისას ქალთა და მამაკაცთა თანაბარი უფლებების უზრუნველყოფას. უახლოეს ხანში ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში მოსამართლის თანამდებობის შევსების პროცესი განხორციელდება. გვინდა აღვნიშნოთ, რომ უკრაინაში კანდიდატების შესარჩევ კონკურსზე შეტანილი იყო 14 განცხადება და 5 მათ შორის – ქალის. როგორც ეროვნული კონკურსის შედეგი, გამარჯვებულთა საშუალებაში მოხვდა იურისტი ანა იუდკოვსკაია. ევროსასამართლოს საკანონმდებლო საფუძვლებისა და პრაქტიკის ბრწყინვალე ცოდნით მან 10-დან 9 ქულა დააგროვა. ეს კონკურსის მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობის მაღალ ხარისხზე მიუთითებს, რომელიც ტარდებოდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის კონვენციისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

ანა იუდკოვსკაია უკრაინაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე ცნობილი ადვოკატია. უკანასკნელი 3 წლის მანძილზე იგი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ევროსასამართლოს იურისტად მუშაობდა. ამ ორგანოში მუშაობის გამოცდილებას გადაწყვეტი მნიშვნელობა და დიდი პრაქტიკული აზრი აქვს შემკვიდრებოთობის შენარჩუნებისა და კადრების ზედმეტი დენადობის თავიდან ასაცილებლად.

გარდა ამისა, დარწმუნებული ვართ, რომ გენდერული თანასწორობა საპარლამენტო ასამბლეისთვისაც უეჭველ

დემოკრატიულ ფასეულობას წარმოადგენს, რომელმაც შეუძლებელია არ გაითვალისწინოს, რომ სასამართლოს დღევანდელ შემადგენლობაში 45 წევრიდან მხოლოდ 13 ქალია. გენდერული ორგანიზაციებისა და მთელი მსოფლიოს აქტივისტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ევროსაბჭოს გენერალური მდივნის ტერი დევისის სიტყვები, რომელიც მან ევროსაბჭოს მერ კონფერენციაზე წარმოთქვა (მინისტრების დონეზე) ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ (სტოკჰოლმი, 2006 წლის 8-9 ივნისი): „ძალზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საუკეთესო კანდიდატურის შერჩევა ნებისმიერი დონის ვაკანტურ თანამდებობაზე. მე მუდამ ვამოწმებ წარმოდგენილ დოკუმენტებს იმ მიზნით, რომ თანაბარი შესაძლებლობების არსებობის შემთხვევაში სწორედ ქალი დაინიშნოს“.

იმედი გვაქვს, რომ ევროსასამართლოში ვაკანსიის დასაკავებლად ხმის მიცემის პროცესში თქვენ გაითვალისწინებთ როგორც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1413-ე (1999) რეკომენდაციას, ისე ჩვენს – უკრაინის საზოგადოებრიობისა და ჩვენი რეგიონული კოლეგების მოსაზრებასაც.

გულწრფელი პატივისცემით:

გულწრფელი პატივისცემით:

(სია იმ პირებისა, ვინც ხელი მოაწერა მანიფესტს მისი ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ აქ):

<http://www.petition.org.ua/?action=view&id=4748>

ვისაც ანა იუდკოვსკაიას მხარდებურა მნიშვნელოვნად მიაჩნია, ამის გაკეთება შეუძლია იმავე მისამართზე

დიანა პეტრიაშვილი
საქართველო

პრიორიტეტები

რა უფრო მნიშვნელოვანია - მინისტრები თუ ბავშვები, თუ ერთნიც და მეორენიც გამხრწნელ კრიმინალურ გარემოში ცხოვრობენ?

საქართველოს საზოგადოებრიობა კვლავ აფორიაქდა. ამჯერად ამის მიზეზი ერთ-ერთი ყოფილი, შეიძლება ითქვას, უახლოეს წარსულში ყველაზე გავლენიანი და ცნობადი სახელმწიფო მოხელე გახდა. ირაკლი ოქრუაშვილი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, კორუფციულ გარიგებებში ამხილეს. ქართული ოპოზიცია, რომელიც ადრე ოქრუაშვილის მიმართ დიდი სიმპათიებით არ გამოიჩინებოდა, შესაშური ერთსულოვნებით აღდგა ექსმინისტრის დასაცავად. და თუმცა კორუფციაში ეჭვმიტანილი ჩინოვნიკის მხარდაჭერას ყველა პოლიტიკოსი როდი აღიარებს ღიად, იგი მაინც მრავალრიცხოვანი აქციის, ხმამაღალი განცხადებებისა და კატეგორიული მოთხოვნების ფონად იქცა.



საერთო ჯამში, ოპოზიციის პრეტენზიები ასეთია: საქართველოს ხელისუფლება იყენებს მართვის სრულიად არადემოკრატიულ მეთოდებს. ისინი ახშობენ სიტყვის თავისუფლებას. ისინი სასამართლოს სახელმწიფოს უქვემდებარებენ. ისინი პოლიციას მეტისმეტად დიდ უფლებებს ანიჭებენ. არის კონკრეტული მოთხოვნებიც – გადადგეს მოქმედი პრეზიდენტი, კიდევ უკეთესია – შეიცვალოს მმართველობის ფორმა. ამბობენ: ახლა საპრეზიდენტო რესპუბლიკა ვართ და ყველაფერი ცუდადაა; მამ, მოდი საპარლამენტო რესპუბლიკა გავხდეთ! კიდევ უკეთესი – შემოვიღოთ საქართველოში კონსტიტუციური მონარქია. ეს საკითხი გაძლიერებულად მუხირებს და სერიოზულად განიხილება ყველა სახის პოლიტიკოსის მიერ.

ოპოზიციის აღშფოთება იოლი გასაგებია უბრალო მოკვდავთათვის. სიმართლეს ამბობენ! ჩვენ ხომ ასეთი დემოკრატიისათვის არ ვიბრძოდით, როცა ელვარე რევიოლუციონერი მიშა სააკაშვილი პრეზიდენტი ხდებოდა. და რაღაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მაგრამ... ძალზე დიდია საფრთხე იმისა, რომ ერთ უბედურებას მეორე ჩაენაცვლოს. ჰორიზონტზე არ ჩანს არც ერთი პოლიტიკოსი ან პარტია, რომელსაც პატიოსანი თამაშის და სამართლიანი დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის სურველი ემჩნეოდეს. ფაფხურობს ოპოზიცია, ზუზუნებს. მრავალრიცხოვან მიტინგებს აწყობს, სადაც რუპორში ხმამაღალ სიტყვებს წამოიხრის: „პატრიოტიზმი“, „ხალხის ნება“, „ტირანისაგან გათავისუფლება“...

იჭაჭება დილიდან საღამომდე ტელევიზორი - ორი წამყვანი ტელეარხი ეჯიბრება ერთმანეთს. ერთი, პროსამთავრობო, არ იშურებს ოქრუაშვილის შესაძლო დანაშაულობების ჩამოთვლას. მეორე, პროოპოზიციური, ფერებს არ იშურებს და ამ ბატონს ლამის მსხვერპლად წარმოაჩენს. ჩვენ პულტს ვაჩხაკუნებთ, ერთი არხიდან მეორეზე გადავდივართ – აქ

მინისტრები თუ ბავშვები? სინამდვილეში, არავითარი დილემა არ არსებობს. ეფექტიანი მინისტრი მოახერხებს, რომ ბავშვები კარგად იყვნენ. მაგრამ სად ვიპოვოთ ასეთი?!
ფოტო ვლადიმერ ხანასისა

georgia kyrgyzstan armenia uzbekistan russua azerbaijan estonia kazakhstan tajikistan georgia kyrgyzstan armenia uzbekistan russua azerbaijan estonia

ალვშოთდებით, იქ – თავს გადავიქნევთ. და ჩვენდა შეუმჩნეველად, ყველა სხვა აზრს ვკარგავთ, რომელიც „არსებულ სიტუაციას“ დაგვაშორებს. რაც არ უნდა იყოს, ჩვენთან პოლიტიკური კრიზისია. მმართველობის ფორმას ვცვლით. როგორ შეიძლება, არ დაივიწყო ყველაფერი სხვა ამქვეყნად.

უკანასკნელი საინფორმაციო გამოშვებების დასრულების შემდეგ ჩემი საფოსტო ყუთი გავხსენი. ჯერ კიდევ „პოლიტიკაზე“ მოფიქრალმა მოკრძალებულ პრეს-რელიზზე დავაწკაპუნე. და წავიკითხე: „უსაფრთხო სკოლის „საფრთხე“.

თურმე, ჩვენი მთავრობა რაღაც ზომებს მიმართავს, რომ სკოლები უსაფრთხო გახადოს. ეს ჩვენი უდიდესი პრობლემაა – მოსწავლეთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. გასულ სასწავლო წელს ათეულობით მოხდა! ზოგიერთი სკოლის კედლებში ჩაიდინეს. და რატომღაც არც ერთ მათგანს არ დაურაზმავს ოპოზიცია მთავრობის წინააღმდეგ, ჩვენ კი, საზოგადოება, არ გამოვსულვართ საპროტესტო აქციაზე. თითქოს ჩვენი შვილები - მოსწავლეები, ნაკლებად გვანტერესებდეს, ვიდრე ჩვენი ყოფილი მინისტრები.

მაგრამ, მოდით, პრეს-რელიზს დავუბრუნდეთ. იგი ფსიქოლოგებისა და ფსიქოთერაპევტების ასოციაციამ გაავრცელა. მან თავისი უმაყოფილება გამოთქვა საშუალო სკოლის მოსწავლეთა ქცევის ახლადგამომცხვარი კოდექსის ზოგიერთ დებულებასთან დაკავშირებით (დოკუმენტი ახლახან შეიმუშავა განათლების სამინისტრომ). კერძოდ, დისციპლინარული სასჯელის ფორმების თაობაზე, რომლებსაც ავტორები კოდექსის დამრღვევთა მიმართ ითვალისწინებენ.

გამოიცანით, როგორ დასჯიან მოსწავლეებს? მათ სასკოლო ბიბლიოთეკაში კითხვას აიძულებენ. ანუ, ავტორები განამტკიცებენ სკოლის ხულიგნების აზრს იმის შესახებ, რომ ბიბლიოთეკა – შესაფერი ადგილია სასჯელის მოსახდელად, ხოლო კითხვა – ერთმნიშვნელოვნად უსიამოვნო პროცესი.

ახლა მე თავს ამკარა უმცირესობაში ვგრძნობ – სანამ საკუთარი თავის პატივისმცემელი მოქალაქეები „საკუთარი ხალხის ბედს“ ოქრუაშვილის საქმის გარჩევით აგვარებენ, მე გამუდმებით ერთი კითხვა მაწვალებს: როგორ იქნება ჩვენი მოსწავლეების საქმე? სად ვიპოვოთ ჭკვიანი თავი, რომელიც ახალ დანაშაულობებს აღკვეთს? სკოლებს უსაფრთხოს განდის? ხოლო ამ უსაფრთხოების დამყარების მეთოდებს ადეკვატურს, მოქმედსა და ჭკვიანურს? ტელევიზიით ამის შესახებ კიდევ დიდხანს არაფერს იტყვიან. უფრო მნიშვნელოვანი ახალი ამბებიც ხომ არსებობს.

სხვათა შორის: საქართველოდან თავხეხელობის მიმზიდველობა

სკოლიდან დაბრუნებულმა ჩემმა ვაჟმა სწავლის დაწყების ერთ-ერთ პირველ დღეს (ჩვენთან სწავლა ოქტომბერში დაიწყო) ახალი ამბავი მოიტანა: ვიღაც სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანეს.

– მან ვიღაცას შეხვედრა დაუნდნა და შეხლა-შემოხლა დაიწყო. ამ დროს მანქანა მოვიდა, იქიდან სამი გადმოხტა და მიბრუნებით დაცხრილეს პატარა რკინის ტყვიებით მაშხანებიდან, რომლებსაც ტირში იყენებენ. – აქ მან პაუზა გააკეთა და მამცნო: – მე და სერგოსაც გვინდა ასეთების შეძენა.

ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ და ვდავობთ. ამასთან ჩემი 13 წლის შვილი მე „ჩამორჩენილად“ მთვლის, ვისაც ამ ცხოვრების არაფერი გაეგება:

– შენ ერთმანეთისგან „ქურდსა“ და „განგსტერს“, ისტ-საიდსა და ვესტ-საიდსაც კი ვერ არჩევ...

მე ვუმტკიცებ, რომ ნორმალურ ადამიანს არაფერში ჭირდება ამის ცოდნა, რომ ეს ყველაფერი ბოღვანა, ან ნაგავი. მაგრამ მას ჩემი არ სჯერა. იგი გარჩევებს უყურებს ტელევიზორში, კომპიუტერში, ქუჩაში, გატაცებულია რეპის განგსტერული რომანტიკით. იგი ამყობს ცუდ ბიჭებთან მეგობრობით და იმაზე საუბრობს, რომ ავტორიტეტულ რეპერად განდომისათვის კარგი იქნებოდა ნასამრთლეობაც ჰქონოდა.

12 წლამდე მე იმედი მქონდა, რომ ჩემს ბიჭს, უბრალოდ, ძალზე განვითარებული ფანტაზია ჰქონდა. მერე გაირკვა, რომ ზოგიერთი სიუჟეტი, რომლებზედაც საუბრობდა, სინამდვილეს შეეფერებოდა.. და მე მისი ნათქვამის მჯერა, რომ სკოლის საპირფარეშო გამოყენებული შპრიცებითაა სავსე, მოწვევა კი ისეთივე ბუნებრივად აღიქმება, როგორც ჩვენთან სამსახურში. ამასთან, გოგონებს შორისაც.

პირველი მშობელთა კრება სკოლაში სწორად მოქცევის კოდექსის ხმაალაღი წაკითხვით აღინიშნა. კოდექსი – მოსწავლეთა წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების კრებულია. მერედა, სად გავექცეთ მას? – დაავადება უკვე ისეთ სტადიაშია, რომ ძლიერი დეზინფექცია და ანტიბიოტიკები ჭირდება. მაგრამ ამ ღირსშესანიშნავ დოკუმენტში სიტყვაც კი არ არის ნათქვამი სკოლის პასუხისმგებლობის შესახებ. იმაზე, რომ იქ დიალოგის ატმოსფერო სუფევდეს და არა როზგის. სხვათა შორის, ჩვენს სკოლაში (არც მთლად ცუდში) სასწავლო წელი 2 კვირით გვიან დაიწყო. მიზეზი – გაჭიანურებული რემონტი. მოველით კრებაზე და დავრწმუნდით: რემონტი გაკეთებული მაინც არ არის, კედლები ჩამოფხრევილია, პარკეტს მიწის ფერი ადევს.

პოლინა მილორადოვიჩი, თბილისი

სხვათა შორის: ყირგიზეთიდან „დედოვშინა“ სკოლაში

მე ძალიან მაწუხებს ისეთი მოვლენა, როგორც რეკეტი სკოლაში და საერთოდ, კონფლიქტურობის დონე. არ ვიცი, როგორ არის თქვენთან, მაგრამ ჩვენთან ეს ძალიან საგანგაშო სიგნალებია, „დედოვშინა“ ძალადობის, ტოტალიტარიზმის განვითარებას უწყობს ხელს. როგორც შედეგი, იზრდება ძალადობა ყველას, და მათ შორის მშობელთა მიმართაც. რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ხალხი ამის თაობაზე ჩურჩულით საუბრობს, იმინიათ, რომ ბავშვს კიდევ უფრო გაუფუჭებენ საქმეს. ყველაფერი ეს დიდ საფრთხეს იწვევს. მერე ხომ მომდევნო ეტაპი დგება, ბიჭები ჯარში მიდიან, შემდეგ კი გაწრთვნილი დამცველების ნაცვლად დედებს ყოველმხრივ დამახინჯებული შვილები უბრუნდებიან. ზოგჯერ პირდაპირ სული ტირის.

სვეტლანა ბაშტოვენკო, ქ. ბალიჩი, ყირგიზეთი

ალინა შაპოვალოვა
თურქმენეთი

ფორმალური შანსი

ა მ ნ ი ს ტ ი ა

როგორც სულის მოთქმა

იგი თავისუფლების ერთ ყლუპს მოგცემს,
მაგრამ რეალობას ვერ გამოასწორებს

ოქტომბერში თურქმენეთში მორიგი ამნისტია გამოაცხადეს. შეწყალებული იქნება და ციხიდან გამოვა 9 ათასი პატიმარი. გაზეთები, სადაც ამნისტირებულთა გვარები იყო დაბეჭდილი, 4-ჯერ უფრო სქელი გამოვიდა, ვიდრე ჩვეულებრივი ნომრები. კითხულობ ამ სიას და გაცოცხლებული რჩები, რა ბევრია ქალის სახელი. აიჯერანი, აკნური, გუნჩა, ივანა, ელენა, მაისა, მაიაგოზელი, ზულხუმარი.. თურქმენები, უზბეკები, უკრაინელები, რუსები, ყაზახები.

მარინაც გაზეთს ფურცლავს, მღელვარებით ეძებს ნაცნობ სახელებს. იგი გასული წლის დეკემბერში გათავისუფლდა ამნისტიით და ახლა სულმოუთქმელად ელის იმ ქალების ნახვას, რომლებთანაც მავთულხლართებს იქით დამეგობრდა. – არის! – ყვირის მარინა. – არის მიახრიც, გულნარაც, მარალკაცა! ისინი მე არ მიმატოვებენ, რომელიმე თავისთან წამიყვანს.

დღეა მაშინ მოუკვდა, როცა ჯერ 13-საც არ იყო. მამა რუსეთის ტრამალებზე დაქროდა, 17 წლის მძა საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობდა. მარინა თავისთან ერთადერთი ქალიშვილის დაღუპვით გულმოკლულმა დედის შშობლებმა წაიყვანეს.

რაც თავი ახსოვს, მარინა თავს სულ ცუდ გოგოდ აღიქვამდა. მოხუცების აზრით, ის არც ისეთი ალერსიანი იყო, როგორც დედა, არც ისეთი სუფთა და მოწესრიგებული. თან შავვერემანია, გზასაცდენილ მამას ჰგავს და არა თეთრყირმიზა დედას. ნოტაციები და შენიშვნები რომ არ ესმინა, მუდამ მოტირალი ბებიისთვის რომ არ ეცქირა, მარინა მერვე კლასის შემდეგ ცდილობდა სახლში რაც შეიძლება, იშვიათად ყოფილიყო. მეცხრეში მას სულ უფრო ხშირად ხელავდნენ წყალწალბულ ხულიგან ალიშერთან ერთად.

– მან მოწვევა, არყის დაღვევა მასწავლა და ქალად მაქცია, – იგონებს მარინა. – მისგან დავორსუვდი. შემეშინდა, ბებიასთან მივედი. იგი აყვირდა, ატირდა: შენ დედის სახელს არცხვენო! ბავშვის დატოვების გაგონებაც კი არ უნდოდათ, მხოლოდ აბორტი! მე კი ალიშერი გულწრფელად მიყვარდა.

დღეს თავისი უაზრო ცხოვრების შესახებ ფიქრისას 24 წლის მარინას უკვირს, რა ბევრი ჩაიტია ამ რამ-



...ქალიშვილი ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს, მაგრამ ნარკომანი დედა არაფერში გამოადგება, მე კი ჯერ ნორმალური ცხოვრებისთვის მზად არა ვარ.

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა

დენიმე წელმა. სკოლის შემდეგ, მუდამ შეწუხებულ მოხუცებს რომ მოშორებოდა, აშნაბადში წავიდა. საზაფხულო კაფეებში ოფიციალურად მუშაობდა, საკუთარი შემოსავალი ჰქონდა. მაგრამ ზაფხული გავიდა და და მარინაც უსაქმოდ დარჩა. ფული მალე გამოეღია, ბინის ქირა კი გადასახდელი იყო.

– ახლა კი ვხვდები, რომ ღმერთი შანსს მაძლევდა, – ოხვრით ამბობს მარინა. – პეტრეს შევხვდი. ყოველმხრივ კარგი იყო, მეგობრული, თბილი ოჯახიდან, თავდავიწყებით შეუყვარდი. მე კი მისაროდა, რომ სახლი ვიპოვე, სადაც პეტრეს დედის წყალობით სითბო და სიმამლრე იყო. ყველას

გასახარად ქალიშვილიც კი გავაჩინე... მარინა ჩაფიქრდა, ყველაზე უსიხარულო მომენტს უახლოვდება.

– მამა ერთი წლისაც არ იყო, როდესაც ერთხელ პარკში ბავშვით სეირნობისას უცებ ალიშერს შევხვდი. ყველაფერი ამომიტრიალდა შიგნით, ალიშერი ისეთი ახლობელი და თან რაღაც უცხო, სხვანაირი იყო.. ვილაპარაკეთ და ჩვენი გზით წავედით. მხოლოდ სახლში, როცა საღამოს ქმართან მარტო დავრჩი, მივხვდი, რომ პირველი სიყვარული არ დამვიწყებოდა.

მარინა ამ შეხვედრის გამო საკუთარ თავს არ ჰკავდა, მაგრამ ნელ-ნელა ნორმალურ მდგომარეობას დაუბრუნდა, საკუთარ თავს შთააგონებდა, რომ ოჯახზე მნიშვნელოვანი არაფერი შეიძლება იყოს, ქმარი კი თუნდაც მაღლიერების გამო უნდა უყვარდეს. ეჩვენებოდა, რომ ეს გამოუვიდა. მაგრამ ალიშერი ისევ გადაუდგა გზაზე. ამ ჯერზე ვაჟმა საღამოს ერთად გატარება შესთავაზა. მარინამ სახლიდან ეკსვლის საბაბი მოიგონა და ამ მორევში თავფეხიანად გადაეშვა.

იმ საღამოს მიხვდა, რამ შეაშფოთა ასე ალიშერი. იგი ნარკომანი გამხდარიყო და ამას არც მალავდა, თავის მეგობრებთანაც მიიყვანა, სადაც ყველაფერი ნახა. ახლა კი ხვდება, რომ ალიშერმა ბანალურად გახადა იგი ნარკომანი, მაგრამ მაშინ ეს ყველაფერი რომანტიკულ გატაცებად ეჩვენებოდა.

ქმრისა და ოჯახისათვის რომ დაემალა, რასაც სწადიოდა, მარინამ სულ უფრო ხშირად დაიწყო მშობლიურ ქალაქ დაშოუზში სიარული. ხანდახან ბავშვიც მიჰყავდა და ღიდ ბებიას უტოვებდა, თვითონ კი ღილაღდე ალიშერსა და მის მეგობრებთან ერთად განცხრომას ეძლეოდა. სულ ტყუილებში გაიხლართა. ვალებში ჩავარდა. პირველმა დედაძილია ატეხა განგაში, თუმცა პეტიაც კარგა ხანია მიხვედრილი იყო: რაღაც ცუდი ხდებოდა. ბინიდან ფული და ნივთები იკარგებოდა. დედაძილი კითხვის თვალთ უყურებდა რძალს. როცა ნახმარი შპრიცი აღმოაჩინა, მერე კი მარინას დანაშაულის ადგილზე წაასწრო, ყველაფერი ცხადი გახდა.

– ჩემთვის უკვე სულ ერთი იყო, – მწარედ იღიბება ქალი, – გულზე მომეშვა კიდევაც, რომ დაფარვა არაფრის დამჭირდებოდა. თუმცა, კარზე მიმითითეს და ქალიშვილის ნახვაც ამიკრძალეს.

შემდეგ კი მოსახდენი მოხდა. ალიშერსა და მის გუნდს ბევრი ფული სჭირდებოდა და „საქმეზე“ სიარული დაიწყო. მარინაც ჩაითრიეს, რომლის მიმზიდველი გარეგნობაც საქმეს უადვილებდათ. ერთხელ სამნი ჩავრდნენ – იგი, ალიშერი და კიდევ ერთი ბიჭი. „ჯგუფური“ დანაშაულისათვის გაასამართლეს – მარინას 9 წელი მისცეს, მის თანამზრახველებს - 13-13.

– 14 თვე ვიჯექი და ამნისტიით გავთავისუფლდი. უკვე 9 თვეა, თავისუფალი ვარ. კოლონიაში ახლობელი ხალხი დამრჩა, რომლებსაც მე დებად ვთვლი. ზონის შესახებ მარინას შეუძლია ღიდხანს ილაპარაკოს. თავის პირველ შთაბეჭდილებას იხსენებს, როცა იქ მოხვდა: თურმე, რა ბევრი ყოფილა თურქმენეთში დანაშაულის ჩამდენი ქალი!

– მასწავლებლებსაც ვხვდებოდი, მედიკოსებსაც, ვაჭრობის მუშაკებსაც. – ყვება მარინა. – სამინისტროების თანამშრომლებიც იყვნენ, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგიც, მსახიობებიც... ვიღაც ქრთამისთვის ზის, ვიღაც გაფლანგვისთვის, მაგრამ

უმრავლესობა მაინც ნარკოტიკების გავრცელებისათვის. ნარკობიზნესში ისინი, როგორც წესი, მამაკაცებმა ჩაითრიეს.

მარინა ჩაფიქრებული აგრძელებს:

ბევრს დანაშაულისაკენ გაჭირვებამ უბიძგა. როცა მამაკაცი ვერაფრით გეხმარება, ბავშვებს კი რაღაც უნდა აჭამო, რა უნდა ქნა?! ბევრს არავითარი სამუშაო არ ჰქონდა. და ნარკოტიკების გადატანასა და გაყიდვაზე დათანხმდნენ. ეს ქალები ყველაზე მეტად ბავშვებზე დარდობენ. მაგრამ არც ერთს არ უთქვამს, ამას მეტს აღარ გავაკეთებო! იმიტომ, რომ ესმით: გაჭირვება აიძულებთ. თავი რაღაზე მოიტყუონ?


მარინა მათ გათავისუფლებას ელოდება, დებს უწოდებს. რატომ?

– როგორღაც ხომ უნდა ვიცხოვრო. აშხაბადისკენ გზა დაკეტილია, აქ მოხუცებმაც უარი მითხრეს თავშესაფარზე. ჯერ-ჯერობით ძმის ოჯახში ვცხოვრობ, მაგრამ ამას ცხოვრებას ვერ დაარქმევ; ორი ნარკომანი ერთ ოჯახში, ის და მე – მეტისმეტია! მიახრი, მარალი, გულნარა არ მიმატოვებენ, რომელიმე თავისთან წამიყვანს.

მერე, ქალიშვილი? – ვეკითხები.

– ქალიშვილი ქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს, – ჩუმიად ამბობს მარინა. – მაგრამ ნარკომანი დედა არაფერში გამოადგება, მე კი ჯერ ნორმალური ცხოვრებისათვის მზად არა ვარ. მამას კარგი მამა, ღიდებული ბებია ჰყავს, ისინი გაზრდიან, როგორც საჭიროა, ამაზე არ ვდარდობ.

მარინკა ისევ ფურცლავს გაზეთის სქელ ნომერს და ეძებს, ეძებს ნაცნობ სახელებს.



ვაშოვა მიახრი, მარალი ან გულნარა – აი, ისინი მოიფიქრებენ, სად წავიდეთ, რა გავაკეთოთ

ფოტო დიანა პეტრიაშვილისა



ლალი ნიკოლავა
საქართველო
აბსურდი

ლაძაზი ქალი, როგორც ურჩხული

ახალგაზრდა „მის საქართველო“
ბულვარულმა გაზეთებმა
ნამდვილ მონსტრად წარმოადგინეს

*ნაცვლად იმისა, რომ საქმეში გარკვეულიყვნენ
და მხარში ამოდგომოდნენ*

სისხლის სამართლის დამნაშავე, საქორწინო ყალთაბანდი და
საერთოდ, განგსტერი?

შეიძლება თანაუგრძნო, მაგრამ სკანდალი „მისის“ გარშემო
მთელი ზაფხული გრძელდებოდა

ივლისში ბათუმში სილაძის კონკურსი
ჩატარდა. გამარჯვებულის ისტორია გასული
ზაფხულის ყველაზე სკანდალურ ამბად იქცა

როგორც კი ბათუმის უნივერსიტეტის 18 წლის
სტუდენტი ნინო ლიკუჩოვა ქვეყნის ულაძაზეს
ქალად აღიარეს, ჟურნალისტებმა ახალი
ვარსკვლავის ცხოვრების დაფარული წვრილმანების
ძიება დაიწყეს. და რაღაც მართლაც აღმოაჩინეს.
პირველი: ნინოს სურათები საქორწინო კაბაში. უკვე
სკანდალია – კონკურსის პირობების თანახმად, მონ-
აწილეები არც კონკურსის პერიოდში და არც მან-
ამდე დაქორწინებულნი არ უნდა ყოფილიყვნენ.
მეორე: მშვენიერს აღმოუჩინეს... ნასამართლეობა.

რამი არ დაადანაშაულეს ლიკუჩოვა
ანგარიშსწორებაში გაწაფულმა ჟურნალისტუკებმა,
რა არ უწოდეს: დამნაშავეც, საქორწინო
ყალთაბანდიც. გოგონა ჩუმად ითმენდა. სექტემბრის
შუა რიცხვებამდე საზოგადოება მხოლოდ ჭორებით
იკვებებოდა.

ამასთან, კონკურსის წესების თანახმად, მთავარმა
ეროვნულმა ლაძაზმანმა ქვეყანა „მის მსოფლიოს“
საერთაშორისო კონკურსზე უნდა წარმოადგინოს,
რომელიც ნოემბერში ჩინეთში ჩატარდება. ვინაიდან
ეს საკითხი აიძულებს კონკურსის ორგანიზატორებს
საკითხის მოგვარებას, ლიკუჩოვა ალაპარაკდა. მან
ისაუბრა თავისი ქორწინების შესახებ, რომელიც
ზუსტად 3 დღე გაგრძელდა. იმაზე, თუ როგორ
მოიტაცეს 16 წლის ასაკში ვინმე მერაბ
აბაშიძისათვის. იტაცებდა „რანდთა“ 12-კაციანი
ჯგუფი. იმ 3 დღეს იგი ჯოჯოხეთს ადარებს.
ჯვრისწერაზე ლიკუჩოვა შიშის გამო დათანხმდა –
ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრნენ. თუმცა,
რამდენიმე დღის შემდეგ მან მანც მოახერხა

სასამართლოსთვის მიემართა მოტაცების თაობაზე.
მომავალი „მისის“ არშემდგარი მეუღლე
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პიროვნებაა.
სწორედ ამის გამო შეცვალა ნინომ შემდგომ,
როგორც თვითონ ამბობს, ჩვენება: მას, ელემენტარუ-
ლად, შეეცოდა თავისი მაწყნარი, რისთვისაც დაისა-
ჯა კიდევაც: სასამართლომ მოპასუხის მხარე დაიკა-
ვა და მომავალ „მის საქართველოს“ ცრუ ჩვენების
მიცემისათვის 2 წლით პირობით თავისუფლების
აღკვეთა მიუსაჯა.

კომპანია „იმიჯ-ცენტრმა“, ქართული სილაძის
კონკურსის ორგანიზატორმა, მომავალი „მის
მსოფლიოს“ ორგანიზატორებისაგან სრული
თავისუფლება მიიღო საქართველოს წარმომადგენ-
ლის მონაწილეობის საკითხის გადაწყვეტასთან
დაკავშირებით. ლიკუჩოვას საქმის დეტალური
შესწავლის შემდეგ „იმიჯ-ცენტრის“ გენერალურმა
დირექტორმა ია კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ
ნინო – ძალადობის მსხვერპლია, ყველაფერი ის კი,
რაც მას კონკურსის მსვლელობისას გადახდა,
საწყენი გაუგებრობა.

– სამწუხაროდ, „მის საქართველო-2007-ს“ საიდუმ-
ლი ჰქონდა, რომლის შესახებაც ჩვენ არაფერი
ვიცოდით. იგი, ჯერ კიდევ მოსწავლე, მოიტაცეს,
როცა 16 წლისა იყო და მშობლების თანხმობის
გარეშე ჯვარი დასწერეს. მაგრამ როცა მან ეს
გაპროტესტა და სამართალს დაუწყო ძებნა, თავად
დაადანაშაულეს, რის შედეგადაც პირობით სასჯელს
იხდის, – თქვა ია კიწმარიშვილმა. – ჩვენმა
კონკურსმა ნინოს მძიმე წარსულის მოშორების, მისი
დავიწყების შანსი მისცა და მე მოუწოდებ პრესას
გოგონაზე თავდასხმის ნაცვლად მოძალადეების
დასჯა მოითხოვოს.

კონკურსის ორგანიზატორის ასეთი განცხადების

შემდეგ ფიურის წევრებმა გადაწყვიტეს ეშუამდგომლათ ნინოსათვის ვადაზე ადრე გათავისუფლებისა და ნასამართლეობის მოხსნის თაობაზე. სასამართლომ, სადაც თავის მხრივ წარდგინება შეიტანა იუსტიციის სამინისტროს პრობაციის დეპარტამენტმა, დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა. იურიდიულად ლიკუჩოვა შეძლებს საერთაშორისო კონკურსზე გამგზავრებას. მაგრამ... ია კიწმარიშვილს არ შეუძლია არ გაითვალისწინოს კონკურენტი სამოდელიო სააგენტოების ღვაძლი. მისი სიტყვებით, ახლა ლიკუჩოვამ „მის მსოფლიოზე“ მეორე ადგილიც რომ დაიკავოს, მას დაუნდობლად გაუსწორდებიან კონკურენტები. ამის გამო კიწმარიშვილმა ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც ბევრი სამართლიანად მიიჩნევს ამ რთულ სიტუაციაში: ლიკუჩოვას დარჩება ტიტული „მის საქართველო“ და ყველა ძვირადღირებული საჩუქარი, ხოლო საერთაშორისო კონკურსზე ჩვენს ქვეყანას „ვიცე-მის საქართველო“ წარმოადგენს.

ნინოს ჰკითხეს, რატომ დაუმალა მან კონკურსის ორგანიზატორებს თავისი ისტორია? მან უპასუხა: „ჯერ ერთი, ამის გამო მე კონკურსში მონაწილეობას ვერ მივიღებდი. მაგრამ თუ მე მთელი სიცოცხლე მომხდარის გამო შიშსა და სირცხვილში ვიქნები – ცხოვრებაში ვერაფერს მივალწევ. მეორეც, მართალი რომ ვითხრა, არც მიფიქრია, რომ გავიმარჯვებდი...“



ახლა ნინოს ესმის: სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს. მაგრამ – ამდენს?!

სურათები აღებულია კონკურსის ოფიციალური საიტიდან

აზიზა მ. უზბეკეთი **გამოხმაურება**

მეც თერმეზიდან ვარ

ძვირფასო რედაქცია! წინა ნომერში თქვენმა ჟურნალმა შენიშვნა გამოაქვეყნა ჩემს მშობლიურ ქალაქზე. მეც შემიძლია რაღაც ვიამბოთ მის შესახებ, მაგრამ ჩემს ვინაობას ნუ დაასახელებთ

ეს საზღვრისპირა ქალაქია. ავღანეთისგან მას მხოლოდ მდინარე ამუ-დარია ჰყოფს. მეზობელ ქვეყანაში მომხდარი ყველა კატაკლიზმა ექოდ აისახება ჩემს ქალაქზე. ასე იყო 1979 წელს, როცა სსრკ-მ თავისი „სამხედრო ოპერაცია“ წამოიწყო, 2001-შიც, ნიუ-იორკში განხორციელებული ტერაქტების შემდეგაც, როცა თალიბების საწინააღმდეგო კამპანია დაიწყო. ბევრი ავღანელისათვის თერმეზი მეორე სამშობლოდ იქცა, რომელმაც ისინი მძიმე წლებში შეიფარა. ბევრი აქ დიდი ხნით დარჩა, დამკვიდრდა, საკუთარი ბიზნესი ააწყო. თვითონ ქალაქი ბუფერს წარმოადგენდა პრობლემურ ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. მაგრამ ქალაქი – ადამიანებია. განა იოლია ქალაქ-ბუფერში ცხოვრება?

გასაკვირი იქნებოდა იმის დაჯერება, რომ აქ მარტო ლტოლვილები დამკვიდრდებოდნენ. ოპიუმის პლანტაციების მეზობლობა თერმეზში სულ იგრძნობოდა. ანტითალიბური ომის დაწყებისთანავე ნარკოტიკებმა ნიაღვარივით იხუვლა, მაფიისათვის ჩვენი ქალაქი მოსახერხებელ გადასაცვლელ პუნქტად იქცა. გაიზარდა ნარკომანთა, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსითა და შიდსით დაავადებულთა რიცხვი. ნარკოტიკები თერმეზის „შავ ჭირად“ იქცა. ზოგიერთი მცხოვრებისათვის ნარკოტრეფიკი შემოსავლის წყარო გახდა. ნარკოტიკების „ფულის წკრიალმა“ ქალებიც მიიზიდა. იოლი გზით დიდი შემოსავლის მიღების სურვილმა ბევრს დანაშაულისაკენ უბიძგა. ყველგან ავღანური კვალი შეიმჩნეოდა. ქალები ავღანელი

„ნარკობარონების“ ხაფანგში უმეტესად გარემოებათა შერწყმის გამო ხვდებოდნენ. მაგალითად, მდიდარი ავღანელის სახლში მოახლეობა ან ავღანურ ოჯახზე ბინის გაქირავება კარგ შემოსავალს იძლეოდა. ავღანელები ქალების ნდობას იხვეჭდნენ და მცირე „დახმარებისთვის“ კარგ გასამრჯელოს ჰპირდებოდნენ. ეს შემდეგში გამოიხატებოდა: ქალს რამდენიმე შეკვრა „წვრილმანი“ უნდა გადაეტანა ერთი ადგილიდან მეორეში. მხოლოდ საგამოძიებო იზოლატორში იგებდა ის, რომ ნივთების ქვეშ ჰეროინის შეკვრები იყო დამალული. ყოველ დღე ვიგებდით მეზობელი სახელმწიფოს საზღვარზე ნარკოტიკების მორიგი პარტიის დაკავების ამბავს. მაგრამ ქალაქ-ბუფერში ცხოვრება სახიფათო მარტო კრიმინალში გარეულთათვის როდია. იგი თავისთავად საშიშია – როგორც დანადგულ ველზე. ხშირად მახსენდება ერთი ჩემი ნაცნობი, რომელიც თითქოს შემთხვევით დაიღუპა. მაგრამ რაც უფრო მეტს ვუფიქრდები მომხდარს, მით უფრო ნათლად ვხვდები, როგორ დავდიოდით დანის პირზე ყველანი. ოლგა არანაირად არ ცდილა გამდიდრებულყოფი ნარკოგასაღებით ან რაღაც სხვა საშუალებით. იგი სხვა რამეზე ოცნებობდა. სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში ვერ მოხვდა და გადაწყვიტა, სტუდენტი მომავალ წელს გამხდარიყო, ამისათვის კი გაძლიერებულად ემეცადინა და რეპეტიტორები დაექირავებინა. ფული დასჭირდა და მეზობელმა ავღანელმა, კერძო ფირმის მფლობელმა, ოლგას მდივნის ადგილი შესთავაზა. სამუშაოდ გოგონას ბევრი საინტერესო რამ მისცა. მან შეისწავლა საქმისწარმოება, კომპიუტერი. მისი ხელფასი არა მარტო იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ოჯახის ბიუჯეტი გამოესწორებინა, არამედ ახალი ტანსაცმლისა და კოსმეტიკის შეძენისაც. მაგრამ ოლგას კარგად ახსოვდა მთავარი – თავისი გეგმები და

თავს თერმეზული „ელიტური“ ცხოვრებით განცხრომის ნებას არ აძლევდა. იგი სერიოზული ქალიშვილი იყო, მაგრამ ამან ვერ უშველა. იმ საბედისწერო საღამოს გატარებას ოლგა ოჯახურ წრეში აპირებდა, ტელევიზორის ყურებას, გაკვეთილების მომზადებაში პატარა დის დახმარებას. უცებ ტელეფონის ზარი გაისმა. თანამშრომელი ავღანელი რეკავდა. მან სთხოვა, მასთან შეეველო და საბუთები წაელო, რომელიც დილით ოფისში უნდა მიეტანა. ოლგა დათანხმდა. მალე მის ბინაში იყო. მასპინძელმა ყავა შესთავაზა და რაღაც ფულზე დაუწყო საუბარი, რომელიც წუთი-წუთზე კურიერს უნდა მოეტანა. კარზე დარეკეს. აი, კურიერიც მოვიდა, გაუსარდა ავღანელს. მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც საშინელ სიზმარში. ოთახში სამნი შემოიჭრნენ. ავღანურად საუბრობდნენ, მაგრამ გასაგები იყო, რომ რაღაც ფულს ითხოვდნენ, მასპინძელი კი უხსნიდა, რომ კურიერი ჯერ არ იყო მოსული. უეცრად ოლგას ნაცნობმა იგი სამზარეულოში შეაგდო და კარი გარედან ჩაუკეტა. მას მხოლოდ ხმამაღალი ყვირილი ესმოდა ოთახიდან. მერე კარი გაიღო. ავღანელმა დაიჭირა, ხელები გადაუგრიხა და ყელზე დანა მიაბჯინა... იგი დანით მიყენებული 7 ჭრილობით იპოვეს. მერე მეზობლები ყვებოდნენ, რომ ესმოდათ, როგორ ემუქრებოდა ვიღაც კედლის იქით ვიღაცას, რომ, თუ ფული არ იქნება, გოგონას მოკლავენ. ვიღაც სხვამ უპასუხა: მოკალით. მერე მხოლოდ ქალის საშინელი კივილი ისმოდა. მილიციამ ორი გვაში აღმოაჩინა – ქალიშვილის და ბინის პატრონი ავღანელის. მან უდანაშაულო ოლგა „ჩაუშვა“ მაგრამ ამან ვერ უშველა. დამნაშავეები მიიმალნენ. სამი წლის ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო. თუმცა, განსაკუთრებული ხმაურიც არავის აუტყენია. დანაშაულში ხომ უცხოელები იყვნენ გარეულნი.



ერთი შეხვედრით ჩემი ქალაქი შეიძლება ჩემად და მბინარედ მოგეჩვენოს. მაგრამ ეს მატყუარა შთაბეჭდილებაა.

ფოტო უშიდა ახმედოვასი

ალიონა პანკრატოვა
რუსეთი

რაკუსი

ეპისტოლარული ჟანრის ნაკრძალი



„გამარჯობა, რა დროა?
რას აკეთებ ახლა?
ყველაფერი გადადე
ჩემი ბარათის ვარდა!
სალამი, ნატაშა!“

ასე იწყება ერთი წერილი, რომელსაც ხელს ვინმე საშა აწერს და გასული წლის 8 ოქტომბრითა დათარიღებული. ზუსტად ასე იწყება იმავე რიცხვით დათარიღებული, იგივე საშას წერილი, ოღონდ ახლა ადრესატი ლარისაა. ორივე წერილი ექვსვერდიანია, ლამაზი, ჩანლართული ხელწერით შესრულებული და ბოლო აბზაცში ორივეში გულში ჩამწვდომი სიტყვებია: „მსგავსი წერილები არასოდეს დამიწერია, მაგრამ გავბედე: იქნებ შენ ხარ სწორედ ის, ერთადერთი, ვისაც ცხოვრებაში ვერ არ შევხვედრივარ“. გამზავნის მისამართი – იავ 48/2 და რაზმის ნომერი. ზონაა.

ლარისა და ნატაშა კი ქმარსგაყრილი მეგობრები არიან. ორივე 30 წლამდე. ანუ, დისკოთეკაზე ნაცნობობის გასაბმელად უკვე ვერ წახვალ, ორივე მასწავლებელი, ე.ი. არც სამსახურში არიან განებივრებულნი მამაკაცთა საზოგადოებით. გათხოვება კი უნდათ. და აი, განცხადება გამოაქვეყნეს გაზეთ „ტუმბაში“, სადაც მისამართად სააბონენტო ყუთის ნომერი მიუთითეს, რომელიც საგანგებოდ ამ კამპანიისათვის იქირავეს. სწორედ ამ მიზეზით აღმოჩინეს ერთმანეთის ასლი ორი წერილი. სავარაუდოა, რომ ამ საშას ორი კი არა, გაცილებით მეტი ასეთი წერილი აქვს გაგზავნილი, თორემ ყურადღებას მიაქცევდა, რომ ორ ერთნაირ წერილს ერთსა და იმავე მისამართზე ორ ქალს უგზავნი და ამასთან თვალის დაუხამხამებლად ამტკიცებს, რომ მსგავსი წერილი არასოდეს დაუწერია“. ჯამში, ნატაშასა და ლარისას მიერ მიღებულ სამ ათეულამდე წერილში კიდევ 5 იყო პატიმრის: მარტოხელა ქალებზე ნადირობა, რომლებიც წვეილს თავის გარემოცვაში ვერ პოულობენ, ფართოდ გავრცელებული მოვლენაა ზონაში. პატიმართა ჟარგონზე ამას „ბაბმის მოთელვას“ ეძახიან, ანუ ყველაფერი გააკეთონ, რათა არ მოიწყინონ. ქალაქის მილიციის საგამომიებო განყოფილებაში მუშაობის 4 წლის მანძილზე არ შევხვედრივარ ბრალდებულს, რომელსაც ხატონად შესძლებოდა საუბარი. ზონაში კი ყველა უცებ ხდება ეპისტოლარული ჟანრის ოსტატი, ფსიქოლოგი, რომელსაც წერილების მეშვეობით შეუძლია სრულიად უცნობი ქალის კეთილგანწყობა მოაპოვოს! აღმოჩნდა, რომ ამ წერილებს სულაც არ წერენ გამომგზავნები.

ერთი მოხუცი ნაცნობი ბებია მყავდა, იმდენად მოფაფალებული, რომ გაუგებარიც კი იყო, როგორ იცოცხლა აქამდე. მაგრამ იგი მოლოდინით ცხოვრობდა: საყვარელ შეილიშვილს ელოდა არც მთლად დაშორებული ადგილიდან. მისმა შვილიშვილმა ალიონაშენკამ მთვრალმა ვიდაცას მუშტით გულის ფიცარი ჩაუნგრია, ნეკნის ნამსხვრევმა ფილტი გახვრიტა და კაცი მოკვდა, ალიონა კი 8 წლით გამოკეტეს. ბებია ცდილობდა მისთვის ამანათები არ მოეკლო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ძალზე მოკრძალებული.

როცა ალიონა, ბოლოს და ბოლოს, დაბრუნდა, ნინა ანდრეის ასულმა ერთმანეთს გაგვაცნო.

გავისაუბრეთ. როგორ ცხოვრობდი გზავნილებისა და პაემნების გარეშე-მეთქი, ვკითხე. ნორმალურად, მიპასუხა. და მიაბო, რომ სიგარეტებისა და ჩაის მთელ შეკვრებს გამოიძუშავებდა ყველა მსურველისათვის სულისშემძვრელი წერილების წერით. მათ ისეთებს უგზავნიდნენ, როგორც ნატაშა და ლარისაა. მიჩვენა წერილის ნიმუში პირველი კონტაქტისათვის. უნდა ითქვას, რომ საშას დამხმარე ალიონასთან ვერ მია! ალექსეის მსუბუქი სტილი აქვს, თვითირონია და არავითარი ანგარიში ადრესატის შეცოდებასა და პატივისცემაზე, არც ერთი ნამცეცი თავმობურებისა. ყველაფერ ამას განათლებაც ემატება: მეშვიდე კლასამდე ფრიალოსანი იყო. ეს დედის გარდაცვალების შემდეგ აირია ცხოვრება.

მისი ვარიანტი ასე იწყება: „გამარჯობათ, პატივცემულო ***! როგორც ოსტაპ ბენდერი იტყოდა, თქვენ, ალბათ, გაგაოცებთ უცნობი მამაკაცის ადრიანი ვიზიტი?“ და შემდეგ იმავე სულისკვეთებით.

იქნებ პატიმართა შორის მართლაც არიან ისინი, ვისაც გულწრფელად უნდა წვეილის პოვნა. მაგრამ, როგორც წესი, ეს მხოლოდ გართობა და გამორჩენის მიღების სურვილია. თუ მოახერხებს ქალიშვილის მოჩანგლვას, იგი იწყებს შეხვედრებზე ჩამოსვლას, მოათრევს და აგზავნის ამანათებს. გარდა ამისა, კოლონიებში ზშირია ქორწინებაც. ხელმძღვანელობა ასეთ შემთხვევებში ყოველთვის დათმობაზე მიდის: რატომღაც, ითვლება, რომ თუ პატიმრის დაქორწინებას მოახერხებენ, იგი მყარად დადგება გამოსწორების გზაზე. ალექსეი ჩემი ნავარაუდები სიყვარულისა და გულწრფელი გრძნობების გაგონებაზე ცინიკურად აჭინვინდა: „იქ ზომ ცოლებთან ხანგრძლივ პაემნებს აძლევენ! სამი დღე და ღამე – სახლის საჭმელ-სასმელი, თბილი ქალი, დერეფანში ტელევიზორი! კურორტია!“

მერ რა ხდება? ვისთან როგორ. ერთნი მართლაც დიდხანს ცხოვრობენ და ვინ იცის, იქნებ, ბედნიერადაც. სხვები კი... ალექსეიმაც, მაგალითად, ერთი ოგო „შეაბა“ თუმცა, ქორწილამდე საქმე ვერ მივიდა: „გაჯიუტდა, თქვა, გათავისუფლებამდე არც ისე ბევრი დავრჩა, გამოხვალ და ვიქორწინოთ!“ ციხიდან გამოსული ალექსეი ბებიასთან გაემგზავრა, თავისი ახალი მისამართიც კი არ შეატყობინა: „რაში მჭირდება ზედმეტი თავის ტკივილი?“ ერთი წლის შემდეგ ალექსეი ისევ დაიჭირეს: ვიდაცას მობილური წაართვა. ასე, რომ, მის მიმწერით გაცნობილ მეგობარს კიდევაც გაუმართლა, რომ ვაჟმა მიატოვა.

აი, ბებია კი, ნინა ანდრეის ასულმა, სასამართლომდე ვერ იცოცხლა.

რედაქტორები:

გალინა პეტრიაშვილი (მთავარი რედაქტორი), საქართველო
(+99599 90 11 24, galapet@ip.osgf.ge)
ციცინო ჯულუხიძე (ქართული ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 92 32 67, cicoju@rambler.ru)
დიანა პეტრიაშვილი (ინგლისური ვერსიის რედაქტორი), საქართველო
(+99599 76 26 21, dianapetriashvili@yahoo.com)

ნომერზე მუშაობდნენ:

ნინო სუხიაშვილი, საქართველო
ალმა ბექტურგანოვა-ანდერსენი, დანია
ნურჟან ტულეგაბილოვა, ყირგიზეთი
ვაფა სალუხი, აზერბაიჯანი
ვლადიმერ ხანასი, უკრაინა
მარგარიტა არუთუნიანი, სომხეთი
ლიანა სტეპანიანი, სომხეთი
ანა იუდკოვსკაია, უკრაინა
დიანა პეტრიაშვილი, საქართველო
პოლინა მილორადოვიჩი, საქართველო
ალინა შაპოვალოვა, თურქმენეთი
ლალი ნიკოლაევა, საქართველო
აზიზა მ., უზბეკეთი
ალიონა პანკრატოვა, რუსეთი

ფოტო:

ნურჟან ტულეგაბილოვა, ყირგიზეთი
პოლინა მილორადოვიჩი, საქართველო
ვლადიმერ ხანასი, უკრაინა
სააგენტო „რეიტერსი“
უმიდა ახმედოვა, უზბეკეთი
დიანა პეტრიაშვილი, საქართველო

დიზაინი და დაკაბადონება:

ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ (საქართველო)
დიზაინ-ჯგუფი

თარგმნა:

ციცინო ჯულუხიძე

ჟურნალ „კავკასიას“ ქართული ვერსია გამოდის
ასოციაცია „გენდერმედიაკავკასიას“ საკუთარი რესურსებით

**საერთაშორისო კოალიცია
კავკასია**

რედაქცია არ არის წინააღმდეგი ჟურნალის გავრცელებისა ან ცალკეული ტექსტებისა და ილუსტრაციების გამოყენებისა – მხოლოდ გამოცემისა და ავტორის აუცილებელი მითითების პირობით



ჟურნალისტთა ასოციაცია
გენდერმედიაკავკასია

www.gmc.ge
<http://spaces.msn.com/GMC-Georgia/>

საქართველო, 0103, თბილისი, იორის ქ.№17
ტელ./ფაქსი (995 32) 27 70 33; (995 99) 90 11 24